

# საქართველო

საქართველო  
საბჭოთაო დემოკრატიული რესპუბლიკის  
საგარეო უწყების  
გაზეთის № 70

გაზეთის № 70

დამაბეჭდის № 15

კვირა, 10 აპრილი, 1916 წ.



ვ.ს.-ქისტაფა

## სამშობლოს

ჩემო სამშობლო, სიყვარულის წმინდა ტაძარო,  
უგბილთა ხელით დაცემული და დაქცეული,  
აღმოსავლეთის გაზაფხულო სუსხით დამწვარო,  
ერთხელ კეკლუცო, დღეს-კი ტანჯვის ბუდეთ ქცეული,—  
აჰა მოვედ მე შენი შვილი გულდათუთქული,  
რომ შენს ჩანგზედა შემოგსახო ძლევის სიმღერა,  
ნელსაკმეველად დაგაკმეო გრძნობა და სული  
და დაგიბრუნო სხვა ცხოვრება, სხვა ბედის-წერა!

დიდი ხანია ვიკავებდი გლოვა-ვაგებას  
შენი ღვიძლ-შვილი, შენს კალთაზე დაბადებული,  
ჯვარზე გხედავდი ჩემს საყვარელს, ჩემსა ღვთაებას  
და შევლას-კია ვერ ვხედავდი დაჯაბნებული.  
ვხედავდი: ნეტარ შენს ძუძუზე უცხო სტკებოდა,  
დავლას გტაცებდა, სულს გხუთავდა, თან დაგცინოდა,  
მე-კი შენს თვისტომს ლუკმა-პური შენატრებოდა  
და ვით გოშინას, მონურ შიშით გული მითრთოდა.

ვხედავდი: შენგან შორს მიჰქონდათ მილიონები,  
მდიდარ მკერდიდან, მწირ მანქანით გამონაწერი,  
ჩვენ ვმსახურობდით, ჩვენ ვიყავით მათი მონები,  
ჩვენი სისხლითა სუქდებოდა შრომის მაცდური.  
მაგრამ ვინ იყო? ვინ დაჰკრავდა აღდგომის ზარებს?  
—მხოლოდ ლოთობდა, მხოლოდ გყიდდა ძველი ბატონი  
და სანამ ჩვენვე მივაგნებდით ალთქმისა კარებს,  
სიკვდილი იყო ჩვენი მხსნელი, ჩვენი პატრონი!

ალბათ იგრძნობდი რომ წაგართვეს უმანკობა  
და აგიშფოთეს სიწმინდისა ნავთ-საყუდარი?  
არ შეგარჩინეს: არც ნამუსი, არც სათნოება  
და ბინძურებად გადაიქცა შენი ტაძარი!  
ბედით დევნილთა, დაგვაიწყა ყოფნის უფლება,  
ისე დავეციო, თუ აღვზღვებით არც-კი გვეგონია,  
თითქოს ჩვენ გვძულდა, არ გვენდოდა თავისუფლება,  
თითქოს სამშობლო, არასოდეს არა გვექონია!

მაგრამ ძვირფასო, სულს ვერ მოჰკლავს რკინის ბორკილი,  
მზის ელვარებას ვერ ჩაქოლავს ბნელი საკანი!  
—აღზდგა, გამხნვედა, შრომის შვილი წელში მოხრილი  
და მედგარ ხელით, დაარწია შენი აკვანი.  
—გამოიღვიძე! გარს გარტყია გმირთა კრებული,  
ხალხი ტანჯული წინ ისწრაფის შემოქმედ-ძალით  
და ის ბატონიც წინად ლოთი, დამცირებული,  
ახალ ცხოვრებას უმკლავდება ახალი ხმალთი.

დადგება ქამი: შენი ოქრო, შენი ფოლადი,  
ჩვენგან შექმნილი, შენს გულ-მკერდზე აციმციმდება  
და ცრემლით მორწყულ შრომის შვილთა კარ-მიდამოზე:  
თავისუფლება, სიყვარული აღმობრწყინდება.  
მაშინ მე მოვალ შენს ტაძარში მუხლ-მოდრეკილი  
და მოგილოცავ კმაყოფილი, გახარებული:  
—აჰა, სამშობლოვ, დაილეწა შენი ბორკილი,  
დიდებით აღზდგა საქართველო განახლებული!

8. ჩხიკვაძე

# სიმღერა

გუძღვნი ჩ. უ.

გამოცხადდი ვით მინდორში პეპელა,  
საკვირველი, დახატული კალმითა;  
მომეწონე, მოვეშურე შენსკენა,  
მსწრაფლ შეპყრობა განვიზრახე მალევითა.  
ტყვე შევიქენ აუხსნელი ვნებისა,  
შემოგტყორცნე კონა ყვავილებისა;  
აიცილე, გაჰკარ რხევით კამარა,  
შორს დამტოვე მწუხარების ამარა.  
მე უშენოდ ველარ წაველ ვერსაით!  
ან სად ვპოვო მშვენიერი შენსავით?  
გვედრები, კვლავ გამოჩნდი პეპელა!  
მოარხიე ნაზი ფრთები ნელ-ნელა!  
აღმისრულე დამატკობი მე სურვა  
და გამიქრე მით მტანჯავი ეს ურვა.

კოწია ერისთავი.



ქართველი ქალი  
ქანდაკეა მ. კიაურელისა.



ბავშვი — ქანდაკეა მ. კიაურელისა.

## მგზავრის შთაბეჭდილება

დილის ათი საათი შესრულდა და მატარებელიც დაიძრა ბათუმისაკენ. შემოდგომიდან თბილისის ჩამოსული, მხოლოდ ეხლა, ახალ გაზაფხულზე ვბრუნდებოდი სოფლისაკენ.

მშვენიერი დილა გათენდა იმ დღეს და ამის გამო მეტის სიამოვნებით მივდიოდი. დილის სუფთა ჰაერიდან ვაგონში შესვლა სამძიმოთ მეჩვენა: ღამე გატარებული მგზავრები ნამძინარევის სახით ჯერ ისევ გვერდებ-აწეულ ტახტებზე ამოქნარებდნენ; ჰაერი იყო მძიმე, სულის შემხუთავი. ამიტომ დერეფნის გაღებულ სარკმელს მივაშურე.

მატარებელი თახთახით მიჰქროდა; თვალ-წარმტაცი რამ სურათი ჯერ არაფერი არ სჩანდა, მაგრამ გულ-გაშლილმა მიდამომ და მეტადრე გამაცოცხლებელმა ჰაერმა შეხუთული გული გამიხსნა. სარკმლის ჩარჩოზე თავმინდობილი გავსცქეროდი შორს, შორს, ხრიოკ გორაკთა იქით ცის კიდურსა და მოგონებათა ათას ნაირი ფერადები გადამეშალნენ... რამდენჯერ მივლია ჩემს სიცოცხლეში ამ გზით წინ და უკან, ხან ახალგაზღვრი უზომო სიხარულით აღსავსეს და ხან გულდაწყვეტილს, მაგრამ საერთოდ კი მაინც იმედებით, ტკბილი იმედებით გატაცებულს! ამ წუთში კი ჩემთვის თითქო აღარა არსებობდა-რა, გარდა მწარი აწმყოსი. წარსული ადამიანისთვის ყოველთვის უკეთესია და თუნდ მარტო იმისთვის, რომ საუკეთესო ხანა მისი სიცოცხლისა იმაშია ჩართული.

მატარებელი მიჰქროდა და მისი, ნაღვლიანი დუღუკის მინაგვარი ხმაურობის შემოსმენა ჩემს ფიქრებს თითქო სიმღერით განაგრძობდა: „ახ დრონი, დრონი, ნაქებნი მტკბარად, წარვიდნენ გაჰქრენ სიხმარებ ჩქარად!“

მაგრამ აი შეიცვალა ჩემს გარშემო

ბუნება, უფრო კეკლუც მიდამოს ვუახლოვდებოდი. თვალწინ მეჭიმებოდნენ მედიდური ტაძრები, რომელთა კალთებზე მინდვრის ნაზ-ყვავილოვანი ზურმუხტი დაფენილიყო.

შეკუმშული გული ისევ გამეხსნა! ოჰ, რა ტურფა ხარ, რა მშვენიერი ჩემო სამშობლოვ! რა ნაზისა ღ თან მძღავრი გრძნობით მიყვარხარ, შენ ჩემო ტკბილო! ნეტა თუ რის განცდას შეიძლება შეადაროს კაცმა შენდამი სიყვარულის ეს გრძნობა? დედის ძუძუს დახამებული ბავშვი რომ მას ხარბად დაეკონება? დიდი ხნის განშორებულ სატრფოს რომ მოელოდები? ან წყნარ, მთვარიან ღამეში რომ სუნნელოვან ყვავილნარში მჯდომი ნაკადულის ლიკლიკსა და დრო დრო შორი-ახლო ნაძვარიდან ბულბულის კენესას ყურს აპყრობ? ან იქნებ იმას უფრო ჰგავს, თვალ-მარგალიტის ასხმულას რომ თავის-არშიყი ქალი გულის სამკაულად აიბამს?

არ ვიცი, არა, ყველაფერი ეს გამოხატავს თუ არა, შენს სიყვარულს რომ ეძახიან, იმ ძლიერ გრძნობას! და თუ ძალუძს გამოხატოს, აი ამ განცდასა შეერთებული გრძნობით მიყვარს მე ჩემი ძვირფასი სამშობლო და მისი ჩაგრული ერი, თავისი ღირსება-ნაკლულეევანებით, თავისი შმაგი მისწრაფებით, რომ მსოფლიოს დიდებულ კონცერტში მისი ბანიც ხმა-შეტკბილებულ ჰანგად გაისმას.

მიყვარს ის ამ დიდებულ ნაშთთა წარსულით, ჩემს თვალ-წინ რომ ერთი მეორეზე სისწრაფით იცვლებიან და მათი დანახვა რომ მუდამ ორ-მაგი გრძნობით აღელვებს ჩემს სულს და აღმომახდენს გულიდან კენესას: ოჰ, რად, რად არ დავიბადე მეც იმ დროს, როდესაც თქვენ გეყრებოდით საძირკველი! იქნებ მაშინ, გალალბულს, მეც შემხვედროდა ბედნიერება—ერთი ქვა მაინც მიმეტანა თქვენი საძირკველისათვის და ობოლი ქალის კენჭის

მსგავსად აია-სოფიოს ტაძრის კედელში, იქნებ ისიც მოწყალებით ყოფილიყო შეწირული ჩემი აყვავებული სამშობლოსაგან!

ეხლა კი რა ვარ მე, ან რა ხართ თქვენ, ჩემი მშვენიერი სამშობლოს დიდებულო ნაშთო? უპატრონო, სტიქიათა ნებაზე მიტოვებულნი, გულჩათხრობილნი, მღუმარენო!

მაგრამ რა უყოთ, ეს ხომ სულ ასე არ იქნება! მე მრწამს, რომ თქვენც დაგიდგებათ უცხო დარი! თქვენი ელფერი დაგებრუნდებათ! ერთ მშვენიერ დღეს გაიგონებთ თქვენს გარშემო მხიარულ ჟრიამულს თქვენი ნორჩი შვილებისას! მათ უკვე შეიგნეს მოვალეობა თვისი თქენდამი, ისინი აღადგენენ თქვენს წმიდა ნაშთებს, აღადგენენ!

ასეთ ფიქრებში თითქმის ვერც კი ვამჩნევდი, თუ როგორ იცვლებოდნენ ყოველ სადგურზე ჩემი მატარებლის მგზავრები და უკვე კარგა დიდი მანძილიც გაგვევლო.

ქარელის სადგურს რომ მიუახლოვდით, ბაქანზე სხვათა შორის რამდენიმე ახალგაზდა გლეხი დაინახე—მადლობა ღმერთსა, კიდევ დარჩენილა ვინმე მეთქი,—სიამოვნებით გავიფიქრე და ახლა კი ფეხზე დგომით დალაულმა ვაგონს მივატანე. ვაგონი გაქედილი იყო მგზავრებით. იმათში ერთმა ნაცნობმა თავადიშვილმა, ამ სადგურზე შემოსულმა, თავის ადგილი დამითმოღ თითონ კარებთან გაჩერდა.

მგზავრები, მათ შორის სამხედრო პირნიც, დაწყებულ ლაპარაკს განაგრძობდნენ. ლაპარაკი ერთსა და იმავე საგანს, მსოფლიო ომს დასტრიალებდა.

ლიანდაგის მეორე მხარეზე ტყვეების მატარებელი იდგა. თათრის ტყვეები ბუზებივით მოჰკროდნენ სარკმლებს და გაფაციცებით გვიცქეროდნენ. ზოგი გაყვითლებული, ჩაფიქრებული სახით, ზოგი კი მკვირცხლი შავი თვალებით გამოიყურებოდა.

— აი ის ბულგარელი აფიცურია წარმოსტევა ერთმა მგზავრმა.

ამ სიტყვებზე ერთი რუსის აფიცური გველის ნაკბენივით ფეხზე წამოვარდა და სარკმელთან მიიჭრა.—ბულგარელი? აბა, ერთი დამანახვეთ!

ახალგაზდა, ლამაზი შავგვრემანი სახის აფიცური მატარებლის კიბეზე იდგა.

— მაგას უნდა ტყვია ჰკრა ეხლა და გადაბრუნო!—ისეთი სიბრაზით წარმოსტევა რუსის აფიცურმა, რომ გვეგონებოდათ ეხლავე ასრულებსო.—საზოლარი მოლალატენი! რაც ჩვენ მაგათთვის სისხლი გვიღვრია!

— მერე, ეგ რომ მაგაში თავისი მთავრობის წინააღმდეგი იყოს, მაშინ მაგის მოკლა ხომ უსამართლობა იქნებოდა?—მორიდებით მიუბრუნდი ამ სიტყვებით აფიცურსა.

— ო, ეგ სულ ერთია! მაგას ვინ გაარჩევს!—მოკლეთ მომიგო.

ამ პასუხზე მაშინვე გამახსენდა მეორე რუსი აფიცურის დაქინებული სიტყვები: ჩემის თვალთა ვნახე ერთი აჭარელი რომ ჩვენსკენ თოფს ისროდა და მამასადამე აჭარლები მოლალატენი არიანო! მაგრამ ბულგარელზე განრისხებულ აფიცურს ამ მაგალითზე ლაპარაკს ვილა გაუბედავდა...

ბოლოს მატარებელი დაიძრა და ჩემი ყურადღება ახლა ლიანდაგის მეორე მხარე მიიპყრო. თვალ-წინ გამირბინა თორმეტოდე დღის მშვენიერად გაშენებულმა ხილის ბაღმა. გულზე მიამა და უნებურად ნაცნობ თავადიშვილს მიუბრუნდი:—ძლივს არ მიხვდა ჩვენი ხალხი, რომ ჩვენი ხსნა მეურნეობაშია! რა მშვენიერი ბაღია! აჭარული თავადიშვილისა იქნება, რასაკვირველია?

ამ შეკითხვაზე თავადიშვილი როგორღაც უგემურად შეინძრა და მიპასუხა:—სამწუხაროდ, მხოლოდ იყო თავადიშვილისა და ეხლა კი აღარ არის! სხვა ტომს მიჰყიდა.—ხრიოკი ადგილი



იყო, დიდი ხარჯი უნდოდა და ტყუილად ეგდო, — განაგრძო მან, თითქო პატრონს ბოდიშსა ხდისო; — ეხლა ამ ბალის პატრონი მაგის გვერდზე მეორე მიწას სხვა უფრო მდიდარ პირზე უპირებს გაყიდვას, რომ მერე თავისი ბალიც იმასვე მოგებით მიასყიდოს. — ბოლოს დასძინა თავადიშვილმა.

ნეტავი არ მეკითხნა! დამრჩენოდა ოცნება! ახლა კი ისევ მწარე ფიქრები! ისევ ის ხმა მკენესარე მატარებლისა: — „რისთვის ვაშენე, ვალორდინე ჩემი ქვეყანა! ვაფართოვე და ვადიდე იმის საზღვრები!“...

ოჰ, შენ ჰგოდებ ამას, შენ, დიდებული თამარ და მინდა ვიწამო, რომ საყვარელი მეფის ეს გოდება ქართველის გულამდინ კიდევ დროზე მიაღწევს!..

უცებ გუნება შემეცვალა და გულმა სიამით დამიწყო ცემა: ჩემს სოფელს ვუახლოვდებოდი.

არ ვიცი, ჩემთან ერთად გამოუტლია ვისმე თუ არა ის გამოურკვეველი გრძობა, თითქო სიამოვნებისა და თან ნაღვლისაც, ქალაქის განაპირა უბნიდან რომ მამლის ყვილი ვამიგონია? ამ ხმაზე უთუოდ გამხსენებია სოფელი, ის მყუდროების სამეფო, სადაც ადამიანი ისვენებს სულით და გონებაც უფრო დალაგებით ვარჯიშობს. სადაც მზისა და მთვარის ამოსვლა-ჩასვლით, ვარსკვლავებით მოქედლი ღამის მზერით დასტკბები! რა სწორეთ სთქვა ტოლსტოიმ: „ქალაქში ადამიანმა რომ ას წლამდინაც იცოცხლოს, ვერა გრძობს, რომ ის დიდი ხანია უკვე მოკვდა და კიდევ გაიხრწნაო“.

რაც უფრო უახლოვდებოდი სოფელს, მით უფრო მეჩქარებოდა მალე მისვლა. ვიცოდი, რომ მცხოვრებთა მდგომარეობა სანუგეშოს არას მომცემდა, მაგრამ დამამშვიდებელი ბუნება ხომ იქ დამხვდებოდა და ეს იყო რომ ასე მივისწრაფვოდი.

ბოლოს მატარებელი გაჩერდა პატარა ბაქანზე. მაზე ჩვეულებრივი მოძრაობა არ იყო. ორიოდ გლეხიმგზავრი შეახტა მატარებელს და ისიც დაიძრა. დახვედრილმა ბიჭმა აიღო ჩემი პატარა ბარგი და შევუდექით სოფლის აღმართს. თვალწარმტაცი იყო ახლად გაღვიძებული ბუნება! აყვავებული, ამწვანებული! ვაი მისი ბრალი, ვინც ხან და ხან მაინც ამას არ ნახავს! ზოგს იქნებ სასაცილოდაც არ ეყოს რომ უთხრა, თუ როგორ დამწყდება ხოლმე გული, აყვავებულ ბაღს რომ ვეღარ მიუსწრობ. და უფრო მეტადაც გაეცინება, როდესაც ვეტყვი, რომ საქმის გამო სოფელში წასვლის დრო იასამნების გაშლის დროსათვის ხშირად შემირჩევია! მე მხოლოდ მაშინ მენანება ადამიანი სიკვდილისთვის, როდესაც სოფლად მაისს ვუმზერ! ჩვენი დედა-ქალაქი იმდენად მიმაჩნია ჩვენი ეროვნების სხეულის უმთავრეს ძარღვად, რომლისგან უნდა ვადმოსჩქეფდეს ჩვენი ინტელიგენციის გონებრივი ძალა, რამდენადაც ეს ძალა შუქ-შემტანი სხივისავით მოედება სოფლის მცხოვრებს. და ის კიდევ, სამაგიეროდ, თვისი შრომის ნაყოფით, აი ამ დიდ თაიგულებად ქცეული ხეების დაბარწული ვაშლებით, აი ამ ატირებული ვაშების დამკვრახული ყურძენით რომ ქალაქის გულს დაამშვენებს!



ნაიბის ქალი — ნახატი ხალილ ბეგ მუსაევისა.

სოფელში შესულს სახლებიდან ქალები და ბავშვები გამომეგებნენ. მამა-ქაცები სახლში არ სჩანდნენ. მივესალამეთ ერთმანეთს ჩვეულებრივი კითხვებით: — რასა იქო, როგორა ხართ?

— უი, ისე იყოს შენი დამაწყევარი, როგორც ეხლა ჩვენა ვართ! — ამბობს ერთი.

— ჯერ აქამდინ რა იყო ჩვენი ყოფა და ეხლა ხომ სულ თვალები დამიყენეს: ი ჩემი ბიჭიც ხო მომტაცეს ომში, გენაცვალე, და აღარა ვიცი რა იმისი! — ამბობს მეორე ისეთი კილოთი, თითქო მარტო იმას ჰხვედროდეს ესეთი ბედი.

— რაღა ვჭამოთ და რაღა ჩავიცვათ ასეთ დროში? რა დაეთესოთ? რა მოვქათ? გული ღამის ბოლომთ გამისკდეს აი ი მიწას რო ისევ მოუნხავსა ვხედავ! შემომტირის მესამე და მინდვრისაკენ მითითებს.

— შე ქალო, — უტყვის ამას მეოთხე, — რო მოხნა კიდევ, რა უნდა დათესო? ან ვთქვათ პირიდან ლუკმა გამოიკალე და თესლად აქციე, დათესე, მერე? რითი გინდა გათოხნო? ერთი შენი კაცი გაგიტოხნის? უიმე, უიმე, რაღა ვქნათ, რაღა?

ისეთი სასოწარკვეთით დააბოლოვა ამ უკანასკნელმა ეს, ეტყობოდა, მისთვისაც თანასწორად მწარე კითხვები, სიმშლის ლანდის ისეთი შიში გამოიხატა იმის თვალებში, რომ მეც უნებურად ყელში რაღაც მომაწვა და რამდენიმე სანუგეშო სიტყვა ძლივს მოვახერხე.

გარს შემომხვეოდნენ ფეხ-შიშველი, გამხდარი ბავშვები და თითქო თავის ატირებული მშობლების მაშველ-ღმერთად მსახავნო, ისეთი თვალებით შემომტკეროდნენ.

ოჰ, რა ულონოდ, მაგრამ მაინც რა ცოდვილად ვიგრძენ მათთან ჩემი თავი! მზად ვიყავ იმ დროს, რომ შემძლებოდა, ავსულიყავ ჩემს პირდაპირ მაღალ მთაზე და საყვირის ხმით მომეხმო მთელი ჩვენი ახალ თაობა: — ხალხნო! მიხედეთ სოფელს! იგი მთლად იღუპება სულითაც და ხორციითაც! მას სჭირდება თქვენი ცოდნა,

თქვენი ხელი, ნუგეში, გამხსენება! არ იცის, რა გზას დაადგეს, ვის მიჰმართოს! სოფლის შვილებო, სოფელს დაუბრუნდით, დაუბრუნდით სოფელსა!.. დაბინდა კიდევ, რომ გაწამებული სულით და ჩემს სახლ-კარს მივეუახლოვდი...

ნინო ყიფიანი.

ორი სურათი

უწინ.

ჩემი მამული ჰყვოდა, მთის ნაზი, ფაქიზი ჰაერი, სიჰ კლდის გულიდგან გადმომქუხარე ანკარა, ცელქი წყაროები და მრავალ ფერად აჭრელებული მინდორ-ველები სიცოცხლით ავსებდნენ ამ სოფელს და მის სიკოხტავეს აქეკლუტებდნენ... გულ-გამამძლარი, კმაყოფილი იყო მისი მკვიდრიც... ბუნების სიმშვენიერით მთვრალი, სიმდიდრით ყელამდის სავსე — ტკბილად ცხოვრობდა, სიამოვნების მორევში ცუტრავდა... ლალი იყო ბუნება. ლალი იყო ჩემი სამშობლოც! ლალადვე ზრდიდა ჩვენს — ნორჩ თაობას — ახალგაზრდობას. მთელის წლობით ადამიანის სახემ კმუნვისა და სევდის სხივი არ იცოდა, რა იყო!..

ვმხიარულობდით შინ, ვმხიარულობდით გარეთ... ვნავარდობდით მინდვრათ, დაფვრინავდით ველათ, მთაში და ბარში...

ათასგვარი იყო ჩვენი თამაში, შექცევა, მხიარულების ჟინის მოკვლა. ათასგვარი იყო ჩვენი საიდგომო გართობა, აი, დაჰბერა მოსისინე ნიავმა და დილის რიჟრაჟმაც გვახარა განთიადი. აღსდგა მიძინებული, უკვდავი სული! გაიღიმა ფერადობით შეფეთქილმა არე-მარემ. აშრილდა ნორჩი ფოთლები... თავი წამოჰყო წყნარმა იამ. აქიკვიკადა სასიცოცხლოთ ფრთოსანთ სამეფო და მათ ჰარმონიულად ხმა შეუწყო ხარების კენესა-გუგუნმა.

გაიღვიძა სოფელმაც. ეკლესიის ეზო სავსეა ხალხით... ყველანი მხიარულად

ენხვევიან ერთმანეთს და „ქოსტეს“ აღდგას“ ულოცავენ...

აგერ, მოხუცებული მშობლები, ბალახით მოცულ საფლავს, სანთელს უნთებენ და კვერცხებს უგორებენ. ეკლესიის გაღვანი სავსეა ხალხით... ყველგან მხიარულება, გულის ქორწილი, სულის აღდგომა... მაშინ... დიახ! მაშინ...

ენლა?

ახლაც ლამაზი და მომხიბვლელია დილის რიჟრაჟი, მაგრამ ჩახედეთ ხალხის გულში!

დაუკვირდით სევდით დაფლეთილ მის პირის სახეს?! ნახავთ:

გამქრალა... აღარ არის მასში, წინანდელი სიხარულის მკრთალი აჩრდილიც...

გლეხის გული სავსეა ბაღმით; აღარ ისმის: „ქრისტე აღსდგა, ჩემო პეტრე! „ქეშმარიტათ ჩემო ივანე!“ დღეს სულ სხვა სიტყვები ისმის:

— პეტრე, ნეტავ რა იცი დღევანდელი ომის? როდის თავდება? შენი ბიჭის ამბავი, ნეტავ, რა მოდის? რომელ ფრონტზეა?!

— რა ვიცი, ძმაო?... სულ არაფერი! იქნებ მოუკლულიც არის.

— ფეფო! აქ რას დაეძებ?

— შვილის საფლავს ჩემო თედორე! მინდა მოვძებნო და აი, ეს აღდგომის კვერცხი ვუშველიო, გულზე ვუგორო!..

— მერე? აქ რა უნდა შენი შვილის საფლავს? ის ხომ ომში იყო?!

იქ გადიცვალა!.. საწყალი, შვილის უკვალოდ დაკარგვას ჭკუაზე შეუშლია.

— კოტე?! მოდი! ერთი ეს ბარათი წამიკითხე...

ბარათში სწერია: „ვანო მოუკლავთ და ქრისტიანულ წესით დაუსაფლავებიათო“.

— ვაიმე, ვაიმე, დავიღუპე! ნეტა აქ მაინც დამარხულიყო...

— ქრისტე აღსდგა!

— ორი ძმა მომიკლეს!..

თეოფილე ხუსკივაძე.

როდემდის?

(საღღამომო სურათი სოფლის ცხოვრებიდან)


— აღდგომის საღამო იყო...

ყოველთვის გულჩათხრობილი კმუნვარებით და სევდით მოსილი სოფელი მხიარულობას მისცემოდა. სახეზედ ყველას რაღაც წარმოუთქმელი სიხარული უკრთოდა... ყველანი ახალ ტანსაცმელში გამოწყობილიყვნენ და კმაყოფილნი თავისი ბედით, მხიარულის ბაასით მიდი-მოდიოდნენ ერთმანეთში ბრწყინვალე აღდგომის მისალოცად... ამ დღეს შეუძლებელი იყო გარჩევა მდიდრის — ღარიბში, თავადის — გლეხში, მოხუცის — მოზარდში... ყველანი ერთმანეთს სიყვარულით და აღერსით ექცეოდნენ... თითქოს, მათში არას დროს შურს არ ჰქონოდა აღდგომა... თვით მოსისხლე მტერთაც კი დაევიწყებინათ ერთი მეორისადმი, შუღლი და შეხვედრისთანავე შესძახებდნენ:

— ქრისტე აღსდგა.

ქეშმარიტად აღსდგა, — უპასუხებდა მეორე და შეყვარებული რაინდივით გადაეხვეოდნენ და დიდხანს ჰკოცნიდნენ ერთმანეთს...

სოფლის ბრწყინვალე წოდების ქალებს, ჩვეულებრივი დაძახილი სოფ-



გოლგოთისაკენ.

ლის ქალებისადმი „გოგო“ „დედაკაცო“ დღეს ნამდვილ ნათლობის სახელით შეეცვალათ და თავაზიანად იწვევდნენ მათ სახლში...

მოზარდი თაობაც, თავისებურ მხიარულებას მისცემოდნენ, ისინი ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილიყვნენ აქა-იქა, და აჯიბრებდნენ წითელ კვერცხებს, რის გამოც მხიარული ყოფინა აეტეხნათ...

ჰაერში გაისმოდა, საამური განუწყვეტელი სოფლის საყდრის პატარა ხარის რეკვა, რაც მომხიბლავ ჰანგებით იფანტებოდა საღამოს საიდუმლოთ მოკულ საესე წყვილიადში... ბუნებასაც თანავერძნო, მთელი წლით შრომაში მოქანცულ გლეხის მხიარულებისთვის... გაზაფხულის ცელქი საღამოს ნაზი სიოც, კუნტრუშით დანაწარლობდა მწვანე ხავერდოვან მინდორ ველზედ და ხან ერთ ყვავილს კეკლუტურად შემოეხვეოდა ყელზედ, ხან მეორესა... ღამის მნათობსაც არ დაეტოვებინა უმოწყალოდ ქვეყანა, და თავისი ოქროსფეროვანი სინათლე უხვათ ესხურა არე მარესთვის...

ყველას ქოხებიდგან მოისმოდა მხიარული დროს გატარება, და უკვე კარგად შეზარხოშებულთა სუფრული და მრავალ ყამიერ... მათ დაევიწყებინათ ყოველისფერი, დღიური ჭირვარამი, უცხო მხარეს გაზაფხილნი სოფლის საუკეთესო შვილები... სადაც აღამიანთა გამანადგურებელი მხეცი უსპობდა სამშობლო კერას დაშორებულთ უმანკო სიცოცხლეს... დაევიწყებინათ ყველა ეს. და მთელი გულის ყური დაევიწყებინათ მხიარულებისთვის მიექციათ...

მთელი სოფელი ასეთ მხიარულებაში იყო... და ეტყობოდათ ბედნიერთაც ჰგონებდნენ თავს... მხოლოდ ამ საერთო მხიარულებაში არ იღებდა მონაწილეობას გოგია სევდიშვილის ქვრივის ჯოხი, რომელიც განმარტოვებით ობლად იღვა, სოფლის გზის დასაწყისში...

მისი პატრონი მარიამი, ქოხის გაღებულ კარებში ჩამჯდარიყო და თვალებიდან ცრემლის ნაკადი გადმოსდიოდა... მას დავიწყებოდა ბრწყინვალე დღე... და მთელი მისი არსება შავ ფიქრებს მოეცვათ... მას ნათლად წარმოედგინა მწარე სინამდვილე წარსულისა, აწმყოსი და მომავლისა... ოდესღაც ბედნიერი... ტკბილი ლუქმის მქონე... ქვრივ-ობრობაში განცდილი სიმწარე... შვილის წვითა და დაგვიტ აღზდა... კვლავ მოლოდინი ბედნიერებისა... მაგრამ... ჯილდოთ რა მიიღო? აგერ ეხლა მისი ოცდასამი წლის ვაჟიშვილი, სრულიად დაავადებული, დაუძლურებული... რომლის იმედიც აღარავისა აქვს... უძრავად იწვა ლოგინში... ფიქრობდა მარიამი და თან თავის თავს ეკითხებოდა... რაღა? რა დავაშავე? განა იმიტომ ვიწვალე, ვიამაგე, ათასგვარი ტანჯვა და ვაება განვიცადე... რომ სიბერეში ბედნიერების მაგივრად სიმწარე განმეცადა? „რად დამიმახინჯეს? რას ემართლებოდნენ ჩემს შვილს? მე შვილი მამულისთვის აღზარდე... განა ჩვენს სამშობლოს კი არ სჭირდებოდა დაცვა?“... მოსთქვამდა გულჩათუთქული მარიამი მაგრამ... პასუხის გამეცემი არავინ იყო... მხოლოდ შორიდან მოისმოდა მტკვრის დუღუნი... მარიამი ამ ფიქრებში გართული

ვერც კი ამჩნევდა, თუ როგორ გადმოსდიოდა ცრემლები მის თვალებზედ...

ამ ფიქრებში იყო გატაცებული მარიამი, რომ ქოხიდან მოესმა დასუსტებული ავადმყოფის ძახილი:

— დე... დი!

ამის გაგონებაზე მარიამი მაშინათვე წამოდგა, ცრემლიანი თვალები ხილბანდის წვერით შეიწმინდა და შევიდა სახლში:

— რა გინდა, შვილო? შეეკითხა შესვლისთანავე.

— წყა...ლი...— ძლივს ჩაილულულა ავადმყოფმა და ხელები აქეთ-იქით გადაყარა.

მარიამი მაშინათვე ეცა ლიტრას და გაქანდა სამზარეულოში, საიდანაც წყალი გამოარბენა, დაასხა კოვზზე და მიუტანა პირთან... მაგრამ გვიანდა იყო... ავადმყოფს კრიკა შეკვროდა და უცნობსა და სამუდამო საცხოვრებელ ქვეყნისაკენ მიისწრაფოდა.

შეშინებულმა მარიამმა, საშინელი ჩუმი გულსაკლავი ქვითინი ამოუშვა და ცდილობდა, როგორმე კოვზით პირი გაეხსნეინებინა... ხან წყალი შეასხურა, ხან რა... მაგრამ ყოველივე ცდა ამაო გამოდგა... მხოლოდ ვეშაპივით ვაჟკაცი უქანასკნელადლა სუნთქავდა... მარიამი მიხვდა თავის მდგომარეობას, ერთი საშინლად დაიკვილა და მოეხვია მომაკვდავ შვილს... როცა საბრალო დედა ამ მდგომარეობაში იყო, მათ კარებთან რამდენიმე ახალგაზდა მოსულიყო და ტკბილ ხმაზედ დასძახეს:

— ქრისტე აღსდგა მკვდრეთით...

სიკვდილითა სიკვდილისა...

ამის გაგონებაზე მარიამი გულსაკლავად მოთქმით ატირდა...

— შვილო... ტოლები მოგსვლიან მოსალოცად...

ამის გაგონებაზედ გარეთ მყოფნი შეკრთნენ და, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, სწრაფლ შესწყვიტეს სიმღერა...

მარიამის უბედურება სწრაფლ მოედო სოფელს... ყველგან შესწყვიტეს სიმღერა და დროს გატარება... ყველას გაახსენდა თავიანთი მახლობლები, რომელნიც სიკოსთან ერთად ბრძოლის ველზედ იყვნენ... ყველა კვლავ სევდამ მოიცვა... ქალები ტირილით და ვიშით მოდიოდნენ მარიამის ნუგეშის საცემლად... მამაკაცებმა კი სოფლის დუქნებთან მოიყარეს თავი... ყველას სახეზედ ჭმუნვარება გამოსკვიოდა... და ერთმანეთს შესჩიოდნენ თავიანთ უბედურ გაჩენის დღეს...

— არა ძმაო, ჯერ გლეხისთვის აღდგომა არ გათენებულა, — ეუბნებოდნენ ერთი მეორეს...

განო საათაშვილი.

### სისხლის აგლაგი

(ნამდვილი ამბავი)

I

მკათათვის მზე გადაეფარა კავკასიის მთების მწვერვალებს. საღამოს გრილმა სიომ დაჰბერა. მთის კალთებზე გაშლილ ცხვრის ფარებმა ბინისავენ იბრუნეს პირი. სინათლე ილეოდა და უთმობდა ალაგს სიბნელეს. დაბნელდა. მიიძინა, მიუყრდა ბუნება. მხოლოდ ხეების უფსკრულებიდან ისმოდა ქუხილი და გრგვინვა აღქაფებულ წყლებისა, ისმოდა შტენვა შურთხისა ამ მთების წვერვალოების ჯიხვების შვილისა...



აპა აღმოსავლეთის მთის მწვერვა-  
ლოს უკანდან ამოჰყო თავი ღამის  
გუშაგმა. ბევრმა ხანმა არ განვლო.  
ვერცხლად შეიღებნენ თოვლით და-  
გვირგვინებული, ცას მიბჯენილსა მთის  
წვერვალებითა კალთები და ხევ-ხუ-  
ვები.

განათა ნაროვანის ხორხში მდებარე  
მებატენის ბინაც. დამძლარი ბატკანი  
ეყარა ნაწილარზე და გემრიელად  
იციხებოდა. ნაბად მოსხმული ახალ-  
გაზდა, სიცოცხლით აღსავსე მებატენე  
მისჯდომოდა დეკის ცეცხლს, რომე-  
ლიც სასიამოვნოდ გუგუნებდა და  
ტკაცა-ტკუცით ისვროდა ოქროსფერ  
ნაპერწკლებს. ფიქრს გაეტაცა ჭაბუკი  
მეცხვარე. ვინ იცის, რა ფიქრი ერე-  
ოდა მის თავში. ჯერ ცხოვრების, მის  
ჭირ-ვარამის, აღმა-დაღმის უცნობი  
იყო იგი. მისი ნორჩი, სპეტაკი და  
უმანკო გული ჯერ არ შეებოჭა ცხო-  
ვრებას, ღუბჭირს ჯერ არ დაეშხამა  
გესლით და ნალველით. ქვეყანა სამო-  
თხეთე ეჩვენებოდა მას და სიცოცხლე  
სალხინოდ...

ცეცხლი დაიწყო. ოქროს ფერ ნა-  
კვერჩხალს ნელ-ნელა ფერფლის სუ-  
ღარა გადაეფარა.

წამოდგა მეცხვარე და თოფით ხე-  
ლში დააპირა ბატკნის დათვლიერე-  
ბა. წამოდგა მისი ერთგული ძაღლიც,  
რომელიც არ აშორებდა მას თავის  
ჭკვიან დააღერსიან თვალს. გადადგა  
რამდენიმე ნაბიჯი მეცხვარემ თუ არა  
გავარდა ტყუბად ორი თოფი. თოფის  
ხმაზე დაფთხა ბატკანი და აქეთ-იქით  
ეცა. ძაღლი წკმუტუნით მივარდა პატ-  
რონს—ახ, რა ცუდ დროს მომიხელეთ,  
ლორებო, დაიძახა მეცხვარემ და, რა  
მოიმარჯვა თოფი, გადახტა ერთ მახ-  
ლობელ ღრეში. ერთი ტყვია მოჭხე-  
დროდა, მაგრამ ჭრილობა საშიში არ  
იყო.

ქისტები წამოიშალნენ ერთ ქუდუ-  
როდან, რომელიც დაჰყურებდა მებატ-  
კნის ბინას და გამოედევნენ მეცხვა-  
რეს.

დიად, თოფის მსროლელნი იყვნენ  
ქისტები, მშიერნი ესენი დაძრწიან  
შთებში მგლებივით, დღისით იმალე-  
ბიან მთების ჭიუხებში, მიუდგომელ  
ალაგებში, ზვერავენ იქიდან ცხვარს,  
ცხენს, საზოგადოთ საქონელს, ღამით  
კი დაეცემიან, ჰხოცავენ მწყემსებს და  
საქონელი გადაუღლით ქისტეთში. არ  
ეშინიათ არც ღამისა, არც საშიშ მთე-  
ბის ბილიკებისა, კლდე-ზვავებისა, რო-  
მელნიც ყოველ წუთს სიკვდილს უქა-  
დის, არ ეშინიათ არც ტყვიისა. რა  
ქნას ქისტმა, შიან და მაინცა და მა-  
ინც არც სამარცხვინოა მისთვის ეს  
ხელობა; პირიქით სასახელოა და სა-  
ვაჟკაცო...

ჩახმახიანი თოფი ჰქონდა მეცხვა-  
რეს. ამ თოფით ვერ გაუმკლავდებო-  
და ქისტებს, რომელნიც ხუთ სასრო-  
ლიან თოფებით იყვნენ შეიარაღებულ-  
ნი. ამისათვის არჩია მორიდება. დაე-  
შო თავქვე ერთ ქვიშიან ფერდობზე.  
ქისტები წამოედევნენ სროლით. რამ-  
დენიმე ალაგას დაიჭრა მწყემსი.

— რატომ არ მეშვებთ ქისტებო,  
არა გრცხვენიათ?!. რა მოტრიალდა,  
შიაძახა მწყემსმა მდევრებს.

პასუხის მაგივრად ქისტებმა დააყა-  
რეს ტყვია.

— ახ ჩახმახიანო თოფო, გაგიწყრეს  
ნამკურთხი, წამოიძახა სასოწარკვეთი-  
ლებით მეცხვარემ და რამდენიმე ალა-



გ ა რ დ ა მ ო . ხ ხ ნ ა

გას დაჭრილი, ძალ-მილეული ამოეფა-  
რა ერთ კლდოვან ქუდუროს თოფ  
მომარჯვებული, რომ ერთი მტერი  
მაინც გამოესალმებინა წუთისოფელს.

სისხლის კვალი მიზღვედა მწყემსსა  
და მით გაიგეს ქისტებმა რომ მწყემსი  
დაჭრილი იყო. მიადგნენ ქუდუროს და  
შესდგნენ.

— რას შესდევით, გაისმა ხმა ქის-  
ტისა, რომელიც, როგორც ეტყობოდა  
ბელადი უნდა ყოფილიყო,—ვინ იცის  
ეგ ძაღლის ლეკვი უკვე მკვდარია და  
თქვენ-კი გეშინიანთ, არა მიდით და  
ჩააძაღლეთ!..

— ჩვენ მშიშრები ვართ, გაი-  
სმა მეორე ხმა ერთ წუთზე წყემს მო-  
ველინა გვერდიდან თოფ მომარჯვე-  
ბული ახოვანი ქისტი.

გავარდა მეცხვარის თოფი და  
ტყვიით განგმირული თამამი ქისტი  
გაიშხლართა ქვიშაზე.

— ჩემისად იყავ სულეთს! წამოიძა-  
ხა მწყემსმა და გადახტა ზვავზე.

— არ გაუშვათ, დაჰკარით, დაი-  
ღრიალა ბელადმა. მისცეს თოფის ში-  
ლინგი ქისტებმა და განგმირული  
მწყემსი დავარდა ზვავზე.

— შიო, ჩემო ძმაო, სადა ხარ!..  
ამოიკვნესა უკანასკნელად წყემსმა და  
დაღია კიდეც სული.

II  
მეორე დღეს გატყდა ხმა, რომ ნა-  
როვანაში ქისტები დაეცნენ მებატ-  
ნეს, მოჰკლეს იგი და ბატკნები გადა-  
რეკეს ქისტეთში. სოფლებიდან და  
აქა-იქა ცხვრის ბინებიდან დაიწყო  
დენა ხალხმა ნაროვანისაკენ. ბინაში  
ვერ ნახეს მკვდარი, დაიწყეს ძებნა.  
გაიფანტ-გამოიფანტა ხალხი მთაში.

იმ დღეს ვერას გახდნენ. მხოლოდ მე-  
ორე დღეს მიაგნეს. ნახეს ზვავზე მწო-  
ლიარე მკვდარი. არ შეცვლილიყო სა-  
ხეზე. იწვა მშვიდათ. თითქო სძინა-  
სო. გარს შემოერტყნენ ცხედარს. იდ-  
გნენ ბუნების შვილი თავ-ჩაღუნულნი  
და გულ-დაკოდილნი. თვალ-ცრემლი-  
ანნი დაჰყურებდნენ თავიანთ ჭაბუკ  
მომქმეს, რომელსაც თავის უმანკო სის-  
ხლით წითლად შეეღება თვისი, სპე-  
ტაკი და წმინდა, როგორც თვით ის  
ზვავი...

— შიო მოდის! წამოიძახა ერთმა  
ხალხიდან.

ხალხმა გაიხედა და დაინახა, რომ  
მართლაც ხევ-ხევსისწრაფით მოდიოდა  
მოკლულ მწყემსის ძმა შიო.

— სად იყო ეგ შიო, რატომ აქამ-  
დისინ არ სჩანდა? იკითხა ვილაყამ.

— ყველი ჩაიტანა კახეთში ეს ერ-  
თი კვირაა, როგორც ეტყობა ეხლა-  
და მოსულა.

— ვაი თქვენ დღეს, მწიბრობით  
ფრთოვანებით წარმოსთქვა ერთმა იქა  
მყოფთაგანმა,—კაი მგლის ვალი და  
გიდვით თავზე!..

მოვიდა შიო. ხალხმა გზა მისცა.

— გამარჯვება, ძმაო, მისვლისთანა-  
ვე მიესალმა შიო მკვდარ ძმას,—ნუ  
გეშინიან, შენ მკვდარი არა ხარ, შენ  
ცოცხალი ხარ!..

ამ სიტყვების შემდეგ შიო გავიდა  
ზვავის განაპირას და ჩამოჯდა ერთ  
ლოდზე.

— ძალიან სამწუხაროა, შიო, ძმის  
დაკარგვა, ნამეტნავად ამისთანა ძმისა  
და ამ ხაირად, მოუსამძიმრეს ჭირისა  
უფალს რამდენიმე ხნის შემდეგ იქ  
მყოფებმა,—მაგრამ რა ვქნათ, სამე-  
ტურ სასოწარკვეთილებაში ნუ ჩავაო-  
დები, ჭირს გამაგრება უნდა.

— ეგ აგრეთა, ძებო, ტირილით და  
ვიშით ძმას ვერ გავაცოცხლებ, სთქვა  
შიომ, რა აიწია ჩაღუნული თავი და  
მიმოავლო თვალი გარშემორტყმულ  
თანამომძებებს,—ამნაიოი სიკვდილი  
პირველი არ არის ჩვენში და უკანასა-  
ქნელი. ჩვენი მეცხვარე კაცი სად არა  
კვდება და როგო. ზოგი ტყვიით  
იგბირება, ზოგი კლდეზე ვარდება და  
ზოგიც კვდება ცხვარზე უაატოროთ,  
ობერ-ტიალად. ჩვენ ჩვეულები ვართ,  
ჩვენ ამნაიოი სიკვდილი აო გავგაკვირ-  
ვებს. დიდათ მადლობელი ვაო თქვე-  
ბი, დაასოულა ჭირისუფალმა, რომ  
შრომა გასწიეთ და მოძინახეთ ძმა,  
მხეცს და სვავ-ყორნებს არ მიეციოთ  
შესაჭმელად. ღებრთმა გადაგხადოთ  
სიკეთე.

— ერთი ქისტი უნაცვლნია პეტ-  
რეს, აუწყა შიოს ერთმა იქ მყოფთა-  
განმა,—აი იმ ქუდუროს წინ გღია  
თვალზე გაჭყეტილი.

— მართალია?! წამოიჭრა ზეზე გა-  
ხარებული შიო,—არ შეურცხვენია ძამ  
გვარი, მოსამსახურე თან წაუყვანია,  
არა უშავს, ლაჩრად მაინც არ მომ-  
კვდარა! სახე გაუბრწყინდა შიოს,  
თვალეში ელვამ გაუარა.

— აბა, სადა გღია ქისტი? ერთი  
მაჩვენეთ, მიუბრუნდა იგი თანამომ-  
ძებებს.

წაიყვანეს შიო და აჩვენეს ქისტის  
გვამი.

კარგა ხანს იდგა შიო და დაჰყუ-  
რებდა ქისტის გვამს. ვინ იცის რა  
ფიქრები ირეოდნენ მის თავში. მისი  
განიერი გულ-მკერდი მძიმედ ადიოდა,  
ჩადიოდა, მთელი მისი ტანი თრთოდა.

— აბა, ქისტო, ვინძლო კარგა ემსა-  
ხურო ჩემ ძმას, წარმოსთქვა შიომ  
რა შესდგა ფეხი ქისტის გვამზე,—ნუ  
გეშინიან, ჩქარა მოგაშველებ ამხანა-  
გებათ შენ თანამომძებებს.

— აა, ეხლა მოუაროთ ჩვენ ცხე-  
დარს, მიუბრუნდა შემდეგ შიო თანა-  
მომძებებს,—დაგვიგვიანდება, გეცადნეთ  
სანამ მზე კიდევ არის სოფელში ჩავა-  
სვენოთ.

— ეს ქისტი ასე გაუშვათ? სთქვა  
ერთმა.

— ძაღლი სამარის ღირსი არ არის,  
უთხრა შიომ,—დაე აგრე ევდოს მხე-  
ცების და სვავ-ყორნების შესაჭმელად.

— როგორ წავასვენოთ, ნეტავი სა-  
კაცი მაინც გეჭონდეს, დაღონდა ხალ-  
ხი რომ მივიდა ცხედართან.

— საკაცი რად გინდათ, უთხრა  
შიომ, აქ საკაცისთვის მასალას სად  
იშოვნით და საკაციო ვერც წავიღებთ



გიორგი კობახიძე  
პორუჩ. მრავალჯერ იქმნა დაჯილ-  
დოვებული.



ექიმი იოსებ გრიგორის ძე  
ანტონოვი  
გარდაიცვალა ტარნოპ. 17 მარტს



პოლბორუჩ. პეტრე გაიოზისძე გა-  
ბუნია (მოკლული).



შტაბს-კაპიტანი გიორგი ბაქრაძე  
მიიღო ყველანაირი ჯილდო.  
(დაჭრილია.)

ამ მთის ოღრო-ჩოღრო ბილიკებზე. ცხენები ხომ გვეყავს, გამოვიგნეთ ცხე-  
დარი, წელში გადასჭერით, ცალეხად  
შეჭკარით და ისე წავიღებთ.

— აბა რასა დგებართ, ბიჭებო,  
შიშართა შიომ, რა შეატყო ყოყმანი,  
—გვიგვიანდება, რას შეფერხდით, გა-  
ნა ერთი და ორი გაგიჭრიათ და წა-  
ვიღიათ მკვდარი? ჩვენ მეცხვარეები  
სუ ასე არა ვცხოვრობთ?

ჩარა არ იყო, გამოვიგნეს ცხედარი.  
შიგნეულობა ჩამარხეს იქვე ორმოში,  
გადასჭერეს წელში, შეჭკარეს ცალეხი,  
აჭვიდეს ცხენს და გაუდგნენ გზას.

III

გლოვის ზარმა დაჭკრა სოფელ  
ჯოხთიოში. ყორნის გუნდით გარს  
შამოხევიდნენ ჰაბუკის ცხედარს შავად  
ჩაცმული დიაცები. ჰვიოდნენ და მოჭ-  
თქვამდნენ. ყველა ხმაში განიჩიოდა  
ხმა უბედურ მოხუც დედისა. ჩაპბლა-  
უჭებოდა საბრალო საყვარელ შვილის  
ცხედარს, ჰკვენსოდა და გმინავდა.  
«ვაიმე შვილო, პეტრე... დაკოდილ  
დედის გულიდან ამონახეთქი ეს სამი  
სიტყვა გულს უწყვეტავდა იქ მყოფთ.  
აშოშმანებდნენ, სცდილობდნენ, რომ  
მოეშორებინათ ცხედრისაგან, მაგრამ  
ამაოდ. ვაჟკაცები იდგნენ მოშორებით  
სევდიანად, თვალ ცრემლიანები, ხელ-  
ცახოცებით ხელში, უყურებდნენ ცხე-  
დარს. ახალ-ახალი მოსული გულშემა-  
ტკივარი ვაჟკაცი მივიდოდა თვალბ-  
ზედ ხელსახოც მიფარებული ქვითი-

ნით, დავარდებოდა ცხედრის წინ  
მუხლებზე და იწყებდა მოთქმით ტი-  
რილს. მოშორებით ყორნე იჯდა  
შიო თავ-ჩაღუნული, სხვა და სხვა  
შავ ფიჭვებში ვართული. ახალ-ახალ  
მოსულები, ცხედრის დატირების შემ-  
დეგ, მიდიოდნენ მასთან და როგორც  
ჭირისუფალს, სამძიმარს ეუბნებოდნენ.  
სახლის გვერდით რამდენიმე შეკალ-  
თავებული თუში ჰხოცავდა და ატყა-  
ვებდა საკლავებს „ხარჯისათვის“.

განვლო რამდენიმე დრომ. მოვიდ-  
ნენ მღვდელი და დიაკვანი მნათით.  
ქალები წამოიშალნენ და გადგნენ  
უკან, განზე, მხოლოდ ვაჟები გარშე-  
მოერტყნენ ცხედარს. მღვდელმა გა-  
დუხადა წესი, რასაც მოითხოვდა რჯუ-  
ლი. წესის შესრულების შემდეგ მი-  
ვიდნენ ვაჟები და გაასვენეს ცხედა-  
რი. მანდილოსნები მოშორებით უკან  
მიჰყვნენ, მხოლოდ სასაფლაოზე არ  
მივიდნენ და კარგა მოშორებით და-  
სხდნენ. იქიდან წიოდნენ და კიოდნენ  
გულშესაზარად.

მიიბარეს მწყემსი პეტრე მშობლიურ  
მიწას და მით განისვენა იგი „მამა-  
პაპათა საფლავებ შორის“—დაბრუნე-  
ბისას ხალხი დასხდა პურის საჭმელად,  
მანდილოსნები ცალკე და ვაჟები ცალ-  
კე. გაშალეს ლურჯი სუფრები. დაჟა-  
რეს ზედ ბლომათ კეცზე გამომცხვა-  
რი პური და ყველი. ხონია ტაბაკებით  
ჯერ ცხვრის თავ-ფეხი ჩამოატარეს,  
შემდეგ ცივად მოხარშული ცხვრის  
ხორცი. ბოლოს მოვიდა ბრინჯი და

მწვადები. მელდინეები თავს ადგნენ.  
ზოგნი მათგანი ყანწებით არაყს ასმე-  
ვდნენ, ზოგნი ღვინოს და ზოგნიც  
ჯიხვებით და აზარფეშებით ლუდს.

თანდათან გაუჯდა ხალხს სასმელი  
თავში. აქამდისინ თითქო დალონე-  
ბულ-დაძმარებულნი აყაყანდნენ, სახე-  
ები გაუბრწყინდათ, შესანდობრიდან  
სადღერძქელოებზე გადავიდნენ. ჩამო-  
ვარდა ოხუნჯობა, სიცილ-ხარხარი,  
ერთი სიტყვით, მგლოვიარობა სიმ-  
ხიარულედ გარდაიქცა. მოდიოდა  
ახალ-ახალი „სუფრები“ ახლად გარ-  
დაცვალბულის ჭირისუფლებისაგან,  
რომ შენდობა ეთქოთ მის გარდაცვა-  
ლებულებისა.

— აბა, ნუ მოიწყენთ, მიუბრუნდა  
შიო ხალხს, შეექცით, დალიეთ, გა-  
მხიარულდით, გაახარეთ ჩემი ძმის პე-  
ტრეს სული სულეთს. ვითომ დღეს  
ქორწილი გვექონია მისი!..

ჩამოატარეს დიდ-დადი ჯიხვები და  
აზარფეშები ლუდით, მათ მოზდევდათ  
ყანწებით და რქებით არყები. ხალხი  
უფრო და უფრო გამხიარულდა. გა-  
რეშე მაყურებელს ეგონებოდა, რომ  
აქ ახალ მკვდრის ხარჯი კი არა, რა-  
მე დღესასწაული, ლხინი და ქეიფია.  
ამ ლხინს და ქეიფს აკლდა, მხოლოდ  
სიმღერები და ცეკვა-თამაში.

სალამომ მოაწია. ხალხი ნელ-ნელა  
დაიშალა. ვინც შორეული იყო უფრო  
აღრე წავიდა. დარჩნენ მხოლოდ გარ-  
დაცვალბულის მახლობელი ნათესავნი  
და ზოგიერთი მთვრალი კაცი, რო-

მელსაც ვერ კიდევ ვერ დაეთმო ლუ-  
დი და არაყი.

დაბნელდა. მოწმენდილ ცას გაე-  
კრნენ ვარსკვლავები, მხიარულად  
ციმციმებდნენ და სალამს უგზავნიდ-  
ნენ ცოდვილ დედა-მიწას. მიუჭრდა,  
მინაბა ბუნება და მასთან სოფელი  
ქონთიოც. სახლებში სინათლე ჩაქრა-  
ლამის წყვდიადით მოცული სოფელი  
ძილს მიეცა. დაცარიელდა შიოს ეზოც.  
ჩამოვარდა სრული სიჩუმე და მყუდ-  
როება. ისმოდა მხოლოდ დაბლა უფს-  
კრულიდან გრგვინვა და ქუხილი პირ-  
იქით თუშეთ ალაზნისა. ამოვიდა  
მთვარე და გაანათა ხეობა და არწი-  
ვის ბუდესავით მთის კალთებზე და  
კუნწუხებზე მიკრული სოფელი და  
თოვლით-ყინულით დაგვირგვინებული  
მთის მწვერვალოები.—

შორს ეზოში, ერთ მორიდებულ  
ალაგში ყორნე ისხდნენ შიო და მისი  
მოყვარე გიო.

— არ იცი, შიო, საიდან ვინ იყ-  
ვნენ პეტრეს მკვლელი ქისტები? ჰკი-  
თხა გიომ.

— არ ვიცი, ვინ და რომელ სოფ-  
ლიდან იყვნენ, უთხრა შიომ,—მხოლოდ  
ეს კი ვიცი, რომ მახლობელი მაპის-  
ტი ქისტები იყვნენ. ქვა-ხიდში ერთ-  
ჩვენ თუშების მწყემსს ენახა. ეთქოთ  
კიდევ წყემსისთვის, რომ ხაროვანაში  
მოკვალით ერთი თქვენი მწყემსიო.  
იმ მწყემსს გაეტეხა ხმა.

— ნეტავ, ვინ საიდან უნდა ყოფი-




პრაპორშიკი  
მათე აღნიაშვილი



პორუჩიკი ამროსი მათეს ძე აღნია-  
შვილი (მოკლული)



ბიკტორ (მამია) დიმიტრის ძე ბურკაძე  
გარდაიც. სარეაზონის ქალ. კავშირის ლაზარეთში.



ლიყენენ ის ძალები, ფიქრს მიეცა და თავი ჩაჰკიდა გიომ.

— ეჰ, სად დაიმაღლებიან, სთქვა შიომ, — ქვესტენლშია ც რომ ჩაძვრნენ, მაინც აღმოვაჩენ. ჩემი გული არ მოისვენებს, სანამ არ გაძლება მათი სისხლით.

— არას დროს არ მყვარებია ქისტის, გიო, განაგრძო შიომ, — ჩემ გულს ყოველთვის ეუცხოებოდა ეგენი, მაგრამ არას ვერჩოდ. ჩემი სახლის კარები გაღებული იყო მათთვის. ბევრჯერ პურ-მარილი მიჭამია მაგათთან, მაგრამ ეხლა მორჩა. გაწყდა ის წვრილი ძაფიც, რომელიც აქამდისინ ოდნავ გვაერთიანებდა. ეხლა მაგათი სისხლი მწყურია და ბევრსაც დავანთხევ, თუ მომცა ღმერთმა დღე. არ დავიზოგავ არავის, როგორც არ დავიზოგეს მაგათ ჩემი ძმა. დღეის შემდეგ ხელს ვიღებ ჩემს თავზე და ჩემ ოჯახზე — მე ჩემ თავს ჩემ ოჯახს აღარ ვეკუთვნი. გავალ მთაში სანადიროდ, მხოლოდ ჩემი სანადირო ქისტები იქნებიან...

— მე რაღას ვაკეთებ, უთხრა მოყვარემ სიძეს, — შენ იქ დაძრწოდე და მე-კი შინ ვიჯდე? სადაც შენ, მეც იქ.

— მაშ გამარჯვება, მოიტა ხელი, გიო, აღფრთოვანებით წამოიძახა შიომ, რა მიაწოდა თავის მოყვარეს ხელი, — ერთად ან სიკვდილი ან გამარჯვება...

— აგრე იყოს.

IV

ამ ორმა სიძე-მოყვარემ დაიწყოთარეში მთაში ქისტებზე. სადაც კი შეჰხედებოდათ ქისტი მგზავრათ თუ საქონელში სიცოცხლეს უსპობდნენ. შედიოდნენ ღამით სოფლებში შეცვივდებოდნენ რომელიმე სახლში და სიცოცხლეს უსპობდნენ ყოველ ქუღალასანს. შიშმა აიტანა ქისტები. რაღაც ორი „ავი სული“ დანავარდობდა მათ მთებში. ვერაფერი ვერ გაეწყოთ-რა. ბევრსა ცდილობდნენ, რომ ან დაეხოცნათ, ან ცოცხალნი ჩაეგდოთ ხელში, მაგრამ ვერასა ხდებოდნენ ქისტები. შიშისაგან გარეთ ვერ გამოდიოდნენ სოფლები. არავინ იცოდა ვინ არიან, საიდან, მიწიერნი, თუ ზეციერნი. ამბობდნენ შაითნები არიანო.

შუა ღამე იყო. ცას შავი, ამღრეული ღრუბლები გადაჰკროდა და საშინლად ბნელოდა. წვიმა წინწლავდა.

ერთ მთის უხვედრ ტაფობაში მოსჩანდა პატარა სინათლე, რომელიც მოციმიციმე ვარსკვლავად მოსჩანდა შორიდან. ცეცხლის ორივე მხრივ იჯდა ნაბად მოსხმული, იარაღში ჩამჯდარი ორი მოყმე. ცეცხლის მკრთალი სინათლე ოდნავ ანათებდა მოყმეების სახეს ცეცხლზე შიშინებდა ჯიხვის მწვადი. ძნელი არ იყო გამოცნობა იმ ორი მოყმისა: ესენი იყვნენ ქისტების „ავი სულები“, მათი სულთმხუთავები შიო და გიო.

ვახშამმა არ დაიგვიანა. გაზილეს გულამივე ქუმელი და შეუდგნენ ვახშმის ჭამას. მხურვალე მარილ მორეულ მწვადს ზედ აყოლებდნენ კოჩხოთი ზავის ცივ ნაჟურს. ჩუმად, წყნარად საუბრობდნენ მოყმენი თავიანთ თავგადასავალზე.

— ეხლა კი გვეყო ხალხის წიაკი და ხოცვა, გიო, სთქვა შიომ, ახლა როგორმე თვით პეტრეს მკვლელები თუ არა მათი მოთავე მაინც უნდა ჩავიგდოთ ხელში და იმის სისხლით დავასრულოთ ჩვენი სისხლის აღება.

— ნეტავ ფალის არ ეცოდინება, ან გაგონილი მაინც არ ექნება პეტრეს მოკლა? სთქვა გიომ.

— ვინ ფალი? ჰკითხა შიომ.

— კაცო, აი ჩემი ძმობილი, ტებულელი ფალი, განა არ იცნობ.

— ჰო, ფალის როგორ არ ვეცნობ, შენ ძმობილს, შარშან შენ სახლში არ ვნახე? მოიგონა გიომ. სახე გაუბრწყინო შიოს, სიხარულის ელფერმა გადაჰკრა და თვლებში ელვამ გაუარა, — ეგ რა კარგი მოგაგონდა, გიო, ფალის როგორ არ ეცოდინება. ხომ იცი, ვინმე ქისტმა სადმე ვირიც კი რომ მოპაროს, მთელ თემში გავარდება ხმა, როგორც „საქმენი საგმირონი“ — სა. ნუ-ლა დავიყოვნებთ, გიო, დაასრულა შიომ, — ხვალვე წავიდეთ სოფელ ტებულოს. და ვნახოთ ფალი.

— წავიდეთ, წინ რა გვიდვა, იყო პასუხი მოყვარისა.

მეორე დღეს შიო და გიო გაუდგნენ გზას. მიდიოდნენ უგზო-უკვლოდ, ღრეხევებზე, რომ არავის ქისტთაგანს არ შეჰხედდოდნენ, არავის არ ენახა. როცა მივიდნენ სოფელ ტებულოს, მზე ის იყო იწურებოდა.

— ოჰ, მარშხიხალუიშ, ვაჟას! (გამარჯვებათ, ძმებო) მიესალმა გახარებული ფალი თავის ძმობილს გიოს და

შიოს. შეიყვანა შინ სასტუმრო ოთახში და დიასახლისს მაშინვე მისცა განკარგულება, რომ ვახშმის მზადებას შესდგომოდა.

სტუმრებმა ოთახში შესვლისთანავე აიყარეს იარაღი და ჩვეულებისამებრ გადასცეს მასპინძელს ნიშნად მისდამი სრული ნდობისა.

— რამდენი ხანია არ გვენახა ერთმანეთი, ძმობილო, მიჰმართა სტუმართ მოყვარე, ენა წყლიანმა ქისტმა გიოს, — განა ძმობილობა ესეთი უნდა?

— ეჰ, მოკლა არ არის, ძმობილო, უთხრა გიომ, — ხომ იცი მეცხვარე კაცის ამბავი: ეს მთა, ეს ბარი, მგზავრობა მთა-ბარში, ოჯახი, რა ვიცი ათასი ჭირ-ვარამი გვახვევია თავს.

— ცოლშვილი ხომ კარგათა გყავს? იკითხა ძმობილმა ქისტმა.

— ჯერ-ჯერობით ცოცხლობენ. სიჩუმე ჩამოვარდა.

— ერთი რამ უნდა გკითხო, ძმობილო, დაარღვია სიჩუმე გიომ, — იმედი მაქვს, რომ არ დამიმაღავ.

— როგორ თუ დავიმალოთ, თითქო წყენით წამოიძახა ქისტმა და თვლები მიაშტერა გიოს, — მე როდის რა დამიმაღნია შენგან?

— არას დროს და მისთვისაც გკითხავ. ერთი მითხარი — მკირე დაფიქრების შემდეგ განაგრძო გიომ, — ამ ზაფხულს, მკათათვეში, ხაროვანაში ქისტებმა თუშის მებატკნე რომ ჰმოკლეს, ხომ არა გავიგია რა?

— გამიგია, როგორ არ გამიგია, სთქვა ფალიმ, — კარგა ვიცი ეგ ამბავი.

— იცი კიდეც ვინ იყვნენ მკვლელები, ან სადაურები?

— მითხოვლები იყვნენ.

— ისიც იცი ვინ მეთაურობდა?

— ეგაც ვიცი.

— მაშ კარგი, ჩემო ძმობილო. უთხრა ქისტს გიომ, რა დაადო მხარზე ხელი, — აი ის მებატკნე, ხაროვანაში რომ მოჰკლეს, ამ ჩემი სიძის შიოს ძმა იყო. ჩვენ მოველით რომ მოვნახოთ მისი მკვლელი და სისხლი ავიღოთ, უნდა გავვიძღვე და გვიჩვენო მკვლელების მოთავის სახლი. ეხლა შენ იცი, დაასრულა გიომ, — ვინძლო არ გააშავო ჩვენს „ნაჭამ-ვერცხლი“. ძმა ძმისთვის და შავი დღისთვისაო.

— შიო შენი სიძეა, უთხრა ქისტმა, — შავი სისხლი, როგორც შენი, ჩემია. ნათქვამია ძმობილის მოღალა-

ტეს ჯოჯობეთშიაც არ ღებულობო, გაიცინა ფალიმ, — მე მოფრთხილნი ვარ, თაც შემძლიან გემსახურიც ვიქნები, ვი, ჩემი სიცოცხლე შენია, ძმობილო და აგისრულებ კიდეც წადილს. მხოლოდ დაუმატა ქისტმა, — მე მიგიყვანთ სახლამდის, გაჩვენებთ და შერე თქვენ იცით.

— სხვა შენ საქმე არა გაქვს, უთხრა ქისტს შიომ, — დანარჩენი ჩვენ ვიცით.

აქ ქისტმა უამბო შიოს და გიოს დაწვრილებით ყველაფერი, როგორ მოკლეს პეტრე, როგორ სდევნიდნენ გაქცეულს თოფის სროლით, როგორ ჰყვიროდა მოთავე „დაჰკარით, არ გაუშვათ ეგ ძაღლის ლეკვი“. ქისტის ამ მოთხრობის დროს შიო აღელდა, ველარ გასძლო, წამოიჭრა ზეზე და ბოლთის ცემა დაიწყო ოთახში. ადამიანის ფერი დაჰკარგა შიომ. ნაცრის ფერ გადაკრული სახე მთლად დაეღმიჭა, თვალები ჩაუსისხლიანდა და აერია, რაღაც სხეცური გამოიმეტყველება მიიღეს. მთელი ტანი აუქანკალდა.

შემოვიდა დიასახლისი და შეიპატიუხა სტუმარ-მასპინძელნი ვახშამზედ.

ბევრ ხანს არ გაგრძელდა ღარიბი ქისტის ვახშამი. ღარიბი იყო ქისტის სუფრა, მარამ მდიდარი იყო სტუმართ მოყვარე გული მასპინძელისა...

V

მეორე დღეს, ჯერ ბინდი იყო, ხალხი ჯერ არ აშლილიყო, სამი ჩვენი ნაცნობი ვაჟაკი გაუდგნენ გზას სოფელ მითხოსაკენ. აქაც უგზო-უკვლოდ ვიღოდნენ. თუ შეამჩნევდნენ ქისტებს იმალებოდნენ, რომ იჭვი არ მიეტანათ.

მზე კიდეც იყო, როს მიუახლოვდნენ სოფელ მითხოს, ღამის მოლოდინში ერთ სოფლის მახლობელ ტყის ჯურღმულში მიიმაღნენ სისხლის ამლებნი. მზე გადაეფარა მთებს. სალა მოს სიომ დაჰბერა. ძროხის ნახირი ბლავილით მიიწურებოდა სოფლისაკენ. ნახირს მისდევდნენ მხრებზე ჭოკებ გაღებული პატარა მენახირე ქისტები. სოფელიც ახმაურდა. დადგა ხალხის ჟვიღ-ხივილი. ნახირს მიეგებნენ ქალები, რომ დაეთვალეირებინათ დროზე თავ-თავიანთი ძროხა, ხომ არა დაგვეკარგა რაო.

ბევრმა ხანმა განვლო. ღამის წყვი-



ო. ი. შ. ღინგე



ხატისფრი და ჯაბარი: სიძვირეა, ჩვენო ალა! ერთი კვერცხიც დადე, რაღა!

მეცხვარე მკირე, როგორმე მოგვინა იფულობა დემე

ადმა შოიკო სოფელი. შეწყდა ხმაურობა. სახლებში ჩაქრა ცეცხლი და მცხოვრებნი მიეცნენ მშვიდ ძილს.

შოი, გიო და ფალი გამოვიდნენ ტყიდან და დიდს სიფრთხილით შევიდნენ სოფელში.

— აბა გაგვიძებ, უთხრა ძმობილს გიომ.

— მომყევით, იყო პასუხი ქისტისა, — შოლოდ დაუმატა ფალიმ, — გიგენებთ სახლს და დავბრუნდები, მოგელოდებით იმავე ალაგს ტყეში, სადაც ეხლა ვიყავით.

— კეთილი.

ბებრ ხანს არ უფლიათ. მიიყვანა ფალიმ შოი და გიო ერთ სახლთან,

რომლის პატარა სარკმელიდან ოდნავ გამოჰკრთოდა სინათლე, უჩვენა თითო კარები და ფეხაკრეფით გაბრუნდა.

სახლიდან ლაპარაკის ხმა ისმოდა. შოიმ დააკუნა კარები.

— ვინ არი? გაისმა შიგნიდან ხმა.

— სტუმრები ვართ! დაიძახა შოიმ. კარი გაიღო. სანათით ხელში დედაკაცი დაუხვდა „სტუმრებს“.

— სტუმარი ღვთისაა, დაუხვდა ქისტი შიოს და გიოს, — მობრძანდით, ჩემი სახლი თქვენი სახლია. ჩემ სახლის ჰერ ქვეშ თქვენი სიცოცხლე უზრუნველყოფილია.

— ჩვენ სტუმრები არა ვართ, ყრუთ

უთხრა ქისტს შოიმ და მიაშტერა ჩასისხლიანებული, ამღვრეული თვალები. ქისტს ელდა ეცა, გაფითრდა, კანკალმა აიტანა, მუხლები ეკეცებოდა.

— მაშ ვინა ხართ, რა გინდათ?

— ჩვენ ვართ სისხლის ამღებნი, წყნარათ მიუგო შოიმ, — ჩვენ უნდა ავიღოთ სისხლი იმ ახალგაზრდა თუშის წყემსისა, რომელიც შენ მოჰკალი მკათათვეში ნაროვანაში. აბა, ღორო, დაიღრიალა შოიმ შემდეგ, — რომ ჰყვიროდი „დაჰკარით, დაჰკარით მაგ ძაღლის ლეკვსო“ ეხლა გამოიჩინე ვაჟაკობა და მე დამკარი. რას დგებარ, ჩამოიღე ეგ შენი თოფი, მოიმარჯვე ხმალი.

ქისტი გაქვავდა ერთ ადგილას. გავარდა თოფი, და განგნა რული ქისტი დაეცა უსტლად. ახალგაზრდას კერის წინ...

სისხლის ამღებნი გამოცვივდნენ გარეთ და ეცნენ ტყეს, სადაც ელოდებოდა მათ ფალი. თოფის ხმაზე წამოიშალა მთელი სოფელი. თავზარდაცემული ხალხი წიოდა და კიოდა კარჩაკეტილ სახლებში. ვაჟაკები ჩახდნენ იარაღში და ეცნენ სოფლის არე მარე ტყე ველებს. გავიდა მღვარი, მაგრამ სისხლის ამღებლების გზა კვალს ვერ მიაგნეს. გაჰქრნენ, თითქო ღედამიწაში ჩაძვრნენ.

ვანო ბუქურაული.

ლი შლინგ-



— ხა, ხა, ხა! ვერ ამჩნევს ბრიყვი, ჩაკირულია!  
— რა ბიჭი მნახა! ვითომდა მეკი ვეღარ ჩავკირავდი!



ლადო მესხიშვილი.  
კარგადა ვარ სხვაგან მივრბი, ავადა ვარ აქ მოვალო, ახლაც ფონი არსადა სჩანს, უძნოთ მრჩება მშრალი ჯკალო, მოდი ისევ შინ დავბრუნდე, თვალი მშობელს მიმოვაგლო, რუსის დასი ქუთაისში არ იქნება სავალალო,



დაეძებენ მასალას ეშმაკი და თაგუნა.



ბლოკის დასკვნა:  
გე-ვალ-ხატისოვ შეიბნენ, თბილისს გაჰქონდა ზანზარი; შემოკრბნენ ფედერალები და სოლოლაკთა ლაშქარი, ბლოკი გვაქვს, არა უშავს-რა, ასტეხეს ირგვლივ ყაყანი, დასცა და შავის კენჭებით დააწყებინა ქაქანი!